ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 18 მარტი, 2020 №65 (8329) ფასი: 60 თეთრი

დეკანოზ გიორგი მამალაძეს სასამართლომ სასჯელის გადავადებაზე უარი უთხრა

გვ.5

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ირაკლი ოქრუაშვილი ბერა ივანიშვილის პირადი პატიმარია“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „პრეზიდენტი რურუასა და უგულავას შეიწყალებს“

„ივანიშვილის ვალია, ახლა ხალხში გამოჩნდეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საგანგებო ზომების მომხრე ვარ“

გვ.3

გვ.2

დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს უზენაესი სასამართლო არჩევნების გაყალბებისთვის სჭირდება“

„პარლამენტში ოპოზიციის დაბრუნება დამცავი მექანიზმია, რომ ივანიშვილმა ახალი ხუნდაძეები არ გამოაჩინოს“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, მარაგებზე უნდა ეზრუნა“

„ხელისუფლებამ პირბადეებით, დისტანციური სკანირების აპარატებითა და ჩიპიანი სამაჯურებით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა მოაგვაროს“

მამუკა ტუსკაძე: „საქართველოში ოფიციალურად საგანგებო მდგომარეობა არ უნდა გამოცხადდეს“

გვ.4

გვ.5

თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 22 ადამიანი გადაიყვანეს

ISSN 1987-9385

2 დღეიდან სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა იკრძალება

2 ისრაელის ექიმები: „კორონავირუსი გაცილებით იოლად მიმდინარეობს, ვიდრე დღემდე გვეგონა“

5 გურიაში მოხუც ცოლ-ქმარზე ყაჩაღობისთვის შ.ო. დააკავეს

6 კიევში მეტრო დაიკეტა

დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს უზენაესი სასამართლო არჩევნების გაყალბებისთვის სჭირდება“

„პარლამენტში ოპოზიციის დაბრუნება დამცავი მექანიზმია, რომ ივანიშვილმა ახალი ხუნდაძეები არ გამოაჩინოს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო ქადაგიძე აირჩია. ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. არჩევამდე კი ქადაგიძემ შეაქო ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ხელისუფლებაზე თქვა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება გაატარა, ხოლო საპარლამენტო უმცირესობის მისამართით თქვა, რომ სწორედ ისინი იდგნენ სასამართლო რეფორმის სათავეებთან.

ამას გარდა, პარლამენტმა დაიწყო საკონსტიტუციო კომისიის შექმნაზე მუშაობაც. შესაბამისად, ოპოზიციამ შეწყვიტა ბოიკოტი და საპარლამენტო საქმიანობას დაუბრუნდა.

რატომ მიიღო ხელისუფლებამ ნაჩქარევი გადაწყვეტილება და რისთვის ემზადება „ოცნება“? სწორი იყო თუ არა ოპოზიციის გადაწყვეტილება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ხომ არ ელოდება საკანონმდებლო ცვლილებების შეჩერებას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურა დაიწყო და დასრულდა პარლამენტში. რამდენად იყო საჭირო ეს ამ ვითარებაში, მით უმეტეს, რომ არჩევნებამდე არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლება ცდილობს, არჩევნებამდე დააკომპლექტოს ყველა ინსტიტუცია. ყველა ინსტიტუციაში შეიყვანოს საკუთარი ნდობით აღჭურვილი ხალხი. ის ამის იმედად არის დარჩენილი, რომ არჩევნებს იგებს არა ის, ვისაც ხმას აძლევენ, არამედ ის, ვინც ითვლის. არჩევნებთან დაკავშირებულიც არის უზენაესი სასამართლოს ამბები, ვინაიდან ისიც ითვლის და მარტო ცესკო არ ითვლის, ვინაიდან გასაჩივრების მექანიზმები არსებობს.

რა თქმა უნდა, პროკურატურაც, უზენაესი სასამართლოც და ყველა ინსტიტუცია ხელისუფლებას სჭირდება იმისთვის, რომ საარჩევნოდ იყოს მზად გაყალბების იმ მასშტაბისთვის, რაც დასჭირდება, თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს მისი მზაობა ფუჭი იქნება და არ გამოადგება.

– საარჩევნო საკითხები სააპელაციო სასამართლომდე მიდის. უზენაეს სასამართლოშიც მიდის?

– რაღაც საკითხები ავა უზენაეს სასამართლომდე. 2003 წელს საარჩევნო საკითხების ერთი ნაწილი სააპელაციო სასამართლოში იყო, ხოლო მეორე ნაწილი – უზენაესში, თუმცა კონკრეტულად ამაზე არ ვამბობ. სააპელაციოც ხომ უზენაესი სასამართლოს კონტროლის ქვეშ არის! ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ იქნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ეს არის კადრების იერარქია და ბიძინა ივანიშვილს ასე აწყობს და ასე აქვს აგებული, რომ ვინც არის უწყების ხელმძღვანელი, იმან უნდა აგოს პასუხი მის თანამშრომელსა თუ ქვეშევრდომზე. ის ხომ ხელისუფლებას არ უყურებს ფუნქციების დანაწილების მხრივ! მისთვის არ არსებობს არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი, არც სასამართლო. ის ამას არ უყურებს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოებს, ის უყურებს, როგორც იერარქიას.

– ქადაგიძემ შეაქო ხელისუფლებაც და თქვა, სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ბევრი ნაბიჯი გადადგაო, მაგრამ, ამავე დროს, შეაქო ოპოზიციაც, რომელზეც თქვა, სასამართლო რეფორმის სათავეებთან იყვნენო. მისი მხრიდან ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერის პოლიტიკა როგორ უნდა გავიგოთ?

– არაფერი. შესაძლოა, ეს არის მისი ტაქტიკა. მას რა კონტაქტები ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნის დროს ახლანდელი ოპოზიციონერების ერთ ნაწილთან, ეს არ ვიცი და არც ის ვიცი, რაზე აქვს გათვლა და არც არის ეს მაინცდამაინც საინტერესო. სწორედ „ევროპული საქართველოსგან“ მოვისმინეთ ჩვენ, რომ მათ ქადაგიძეზე ღიად თქვეს, ეს კლანის წარმომადგენელიაო.

– ხომ არ ცდილობს, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ახალ ხელისუფლებასთანაც ჰქონდეს მისასვლელი?

– ალბათ ცდილობს, მაგრამ ამას არ ჩავუღრმავდები, არც არის ეს საინტერესო. მათ ხმებს ეგ ვერც მიიღებს და, ბუნებრივია, ის ამჟამად არის „ქართული ოცნების“ კადრი, ანუ ის არის ხელისუფლების კადრი და, რა მნიშვნელობა აქვს, რომლის.

– პარლამენტში მეორე საკითხსაც განიხილავენ, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და ეხება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კომისიის შექმნას. ოპოზიციამ შეწყვიტა ბოიკოტი და შევიდა პარლამენტში. ეს ერთჯერადი აქტია და, თუ ღიად დარჩება ისევ პოლიტპატიმრების თემა, მაშინ ისინი კვლავ ბოიკოტის რეჟიმზე გადავლენ?

– მათ თქვეს, რომ ამჟამად ეს არის ერთჯერადი. სწორია და მე ვეთანხმები საპარლამენტო ოპოზიციას, რომ საკონსტიტუციო კომისიის შექმნის საკითხში ისინი პარლამენტში ჩაერთვნენ. საჭიროა მათი ხმები და ეს ერთგვარად დამცავი მექანიზმიც არის. ეს არის პოლიტიკური თანამონაწილეობა შეთანხმების ნაწილში და, მეორე მხრივ, არის დამცავი მექანიზმი, რომ ემანდ ახალი ხუნდაძეები არ გამოგვიჩინოს ბიძინა ივანიშვილმა. ამიტომ სწორია მათი იქ მისვლა.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრას, ის უწევს აპრილის ბოლოს და, იმედი მაქვს, რომ პოლიტიკური მოტივებით დაკავებული ადამიანების მიმართ ხელისუფლების პოზიციები იქნება უფრო მკაფიოდ გამოხატული. ამიტომ, წინასწარ ძნელია იმის თქმა, ვინ როდის როგორ მოიქცევა ამა თუ იმ შემთხვევაში.

მე უფრო იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გაიაზრებს და დაიწყებს მათთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის პროცედურას.

– მათ შორის შეწყალების პროცედურის დაწყებასაც გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. ერთად აღებული ყველაფერი, მათ შორის უნდა იყოს დაწყებული შეწყალების პროცედურებიც გიგი უგულავასთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ არის კედელთან მიყენებული. მას უგულავამ და მისმა ადვოკატმაც მიმართეს მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტარებმა სალომე ზურაბიშვილს მიმართეს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

– ხომ არ ელოდებით გარკვეულ კორექტირებას მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევიდან გამომდინარე? ვგულისხმობ იმას, რომ კორონავირუსის გამო თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, მაშინ რაღაც ცვლილებები შეჩერდეს.

– საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით არ ველოდები განსაკუთრებულ რამეს. ყველაფერი ალბათობებითაა. მცირეა ალბათობა, რომ თუნდაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებების შეჩერება თუ შეფერხება მოხდეს.

ამას მე არ ველოდები, მით უმეტეს ამ ცვლილებებზე უარის თქმას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე გახდა

გუშინ, 17 მარტს, საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო ქადაგიძე დაამტკიცა.

ამასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

17 მარტს საქართველოს პარლამენტმა დეპუტატთა 82 ხმით არცერთის წინააღმდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო ქადაგიძე აირჩია, რომელიც უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს ნინო ქადაგიძის კანდიდატურა 2020 წლის 11 მარტს წარუდგინა. საპარლამენტო სესიის კენჭისყრამდე დეპუტატებმა ნინო ქადაგიძეს მოუსმინეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, სადაც პარლამენტის წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ასევე დაესვათ შეკითხვები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატისთვის მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ნინო ქადაგიძემ თავის გამოსვლაში მოღვაწეობის მთავარ მიზნად დაასახელა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცების გზით ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დამყარებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მაღალი ხარისხის მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ასევე ისაუბრა რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევაზე, რაც დღეს სასამართლოს წინაშე დგას და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და მის დაცვას, მაღალი ხარისხის კომპეტენტური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას.

– მოსამართლე დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ გარეშე ზეგავლენისაგან, არამედ სასამართლოს შიგნით არსებული შესაძლო ზემოქმედებისაგან. სასამართლოს შიგნით დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ ცალკეული მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების პროცესში თავისუფალი იყოს მითითებისა ან/და ზეწოლისაგან, რაც პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს თავმჯდომარის მხრიდან. თავმჯდომარე უნდა იყოს გარანტი იმისი, რომ მოსამართლე დაცული იქნება ნებისმიერი გარე თუ შიდა ზეწოლისაგან, – განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა ასევე გაამახვილა ყურადღება საქმეთა რაოდენობაზე და იმ დიდ ნაკადზე, რომელიც დაუსრულებლად მოდის სასამართლოში, სასამართლოში საჭირო ინფრასტრუქტურისა და სერვისების დახვეწაზე, მოსამართლეთა პროფესიული ცოდნის ამაღლებაზე და იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლზე, მოსამართლეთა სოციალური გარანტიებისა განმტკიცებაზე და რაც მთავარია საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობაზე მედიის ფართო ჩართულობით.

– უფლება ინფორმაციაზე კვლავ რჩება პრინციპად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების ინტერესი მოითხოვს მასმედიასთან აუცილებელ თანამშრომლობას რა მიზნითაც უნდა განვითარდეს სპიკერის ინსტიტუტი. სასამართლოში ეს ინსტიტუტი დანერგილია, მაგრამ განსაკუთრებული ეფექტურობით მაინც და მაინც არ გამოირჩევა. ვფიქრობთ ამ პირების დატრენინგება უნდა მოხდეს. ეს პირები იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალო კონტაქტში იქნებიან მედიის წარმომადგენლებთან და ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში ექცევა, ბუნებრივია კანონის ყველა მოთხოვნათა დაცვით მიეწოდებათ, – განაცხადა ნინო ქადაგიძემ.

დღეიდან სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა იკრძალება

მთავრობის გადაწყვეტილებით, დღეიდან, 18 მარტიდან, სამარშრუტო ტაქსებით მოძრაობა იკრძალება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ, 17 მარტს, ბრიფინგზე განაცხადა და განმარტა, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიიღეს.

– აიკრძალება სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავრცელების კერა, ამიტომ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული. დარჩება ქალაქში მერიის ტრანსპორტი, ისევე როგორც მეტრო, მაგრამ მათ დაევალათ და ექნებათ ვალდებულება, ყოველდღიურად მოახდინონ ამ ტრანსპორტის დეზინფიცირება და შესაბამისად, აქ რისკების მართვა უკეთ შეგვიძლია, – განაცხადა გახარიამ.

ისრაელის ექიმები: „კორონავირუსი გაცილებით იოლად მიმდინარეობს, ვიდრე დღემდე გვეგონა“

ისრაელის ექიმების განცხადებით, კორონავირუსი გაცილებით იოლად გრძელდება, ვიდრე ამას დღემდე ვარაუდობდნენ. ამასთან, მათი თქმით, საკარანტინო ზომები საშუალებას იძლევა დაიწიოს ზეწოლამ ჯანდაცვის სისტემაზე.

– თუკი თქვენ დაინფიცირდებით კიდეც კორონავირუსით, ეს სამყაროს დასასრული არ არის. ეს არის დაავადება, რომელიც 84%-ში იოლად მიმდინარეობს, ადამიანთა ნაწილი ვერც კი გებულობს, რომ დაინფიცირებულები არიან. 16%-თვის ეს გაცილებით მძიმე დაავადებაა, რომელთაგან 2.5-დან 5%-მდე შესაძლოა, საჭიროებდეს ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას. სიკვდილის პროცენტული მაჩვენებელი კი სრულებითაც არ არის ისეთი, როგორიც გვესმოდა ჩინეთის ხუბეის პროვინციიდან. ეს ციფრები გაცილებით დაბალია. თუკი ამას შევხედავთ ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ეს ავადმყოფობა გაცილებით იოლია, ვიდრე ჩვენ დასაწყისში გვეგონა, – განაცხადა ისრაელის უმსხვილესი კლინიკური ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა აფეკ არნონმა.

ისრაელში, 17 მარტის მონაცემებით, კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობა 324 ადამიანს შეადგენს, რომელთაგან 5-ის მდგომარეობა მძიმეა.

კარანტინის დარღვევისთვის ფიზიკური პირები — 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირები 15.000 ლარით დაჯარიმდებიან

კარანტინის წესის დარღვევისთვის ფიზიკური პირი – 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 15.000 ლარით დაჯარიმდება.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცვლილებები უკვე მოამზადა. ერთი ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის, რომლის თანახმადაც, კარანტინის წესის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 15.000 ლარის ოდენობით. ამასთან, ცვლილებებით განისაზღვრება, რომ კარანტინის წესს დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

კანონპროექტით კონკრეტდება, რომ გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ოქმის შემდგენი პირი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილ პირთან ერთად უფლებამოსილი იქნება, სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელთან ერთად, როგორც პრევენციული ღონისძიება, გამოიყენოს დამრღვევი ფიზიკური პირის საკარანტინო სივრცეში მოსათავსებლად გადაყვანა.

საკანონმდებლო ცვლილებები თვის ბოლოსთვის დარეგისტრირდება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ირაკლი ოქრუაშვილი ბერა ივანიშვილის პირადი პატიმარია“

ლადო სადღობელაშვილი: „პრეზიდენტი რურუასა და უგულავას შეიწყალებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლადო სადღობელაშვილი** პასუხობს.

– ლადო, საპარლამენტო ოპოზიციამ გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს საკონსტიტუციო კომისიის შექმნას. ბევრი ფიქრობს, რომ ოპოზიციამ მიიღო გარანტიები პატიმრების გამოშვების თაობაზე, თუმცა, ხომ არის შანსი, რომ კიდევ გადააგდოს „ოცნებამ“ ოპოზიცია?

– მე ვუსმინე რომან გოცირიძის კომენტარს. მან განაცხადა, მხოლოდ ერთი საკითხის განხილვას ვესწრებითო. მე სწორად მიმაჩნია მათი გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ერთპიროვნულად არ მიუღიათ.

– ვისთან შეათანხმეს?

– ეს არის შეთანხმებული ელჩებთან. ეს ადამიანები აქამდე აცხადებდნენ, სანამ პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებთ, ჩვენ ვიქნებით ბოიკოტის რეჟიმშიო. თუმცა ვნახეთ, რომ პროცესში მაინც ჩაერთვნენ, ანუ მათ მიიღეს სერიოზული გარანტიები, რომ ამ პოლიტპატიმრებად წოდებულ პირებს გამოუშვებენ.

– რატომ პოლიტპატიმრებად წოდებულები. თქვენ არ ეთანხმებით მათ სტატუსს?

– სიმართლე გითხრათ, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს ადამიანები არიან პოლიტპატიმრები, მაგრამ, ამავდროულად, ვიზიარებ იმ აზრს, რომ ეს ადამიანები ძალიან საეჭვო გარემოში დააპატიმრეს.

– ეს ადამიანები ძალიან საეჭვო გარემოებებში დააპატიმრეს, თუნდაც გიგი უგულავა. ეს ყველაფერი კითხვებს აჩენს.

– ზუსტად მაგას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ეს ადამიანები, ჩემი გადმოსახედიდან, არ არიან პოლიტპატიმრები, მაგრამ მათი განცხადებების მერე არიან დაპატიმრებულები. იგივე ოქრუაშვილი რომ ავიღოთ, ეს ადამიანი არაფერშია დამნაშავე. ის ერთადერთი დამნაშავე იყო იმაში, რომ ბერა ივანიშვილსა და ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებდა. დამცინავი და ირონიული ტონით აკრიტიკებდა. ირაკლი ოქრუაშვილი ბერა ივანიშვილის პირადი პატიმარია.

– რატომაა ბერას პირადი პატიმარი, მისი დაკვეთით არ უშვებენ?

– ასეა. ირაკლი ოქრუაშვილი ყოველთვის დამცინავად მოიხსენიებდა ბერა ივანიშვილს, ცინიკურად ეუბნებოდა, მამაშენს გადაეციო, პირადად ბიძინა ივანიშვილს კი არ მიმართავდა, კონკრეტულად ბერა ჰყავდა ამოჩემებული და ამიტომ ვამბობ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არის ბერას პირადი პატიმარი.

– ანუ ოქრუაშვილის შემთხვევაში საქმე გვაქვს პირად შურისძიებასთან?

– კი, ასეა. ირაკლი ოქრუაშვილს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დანაშაული არ ჩაუდენია. ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით იყო კითხვები, სდებდნენ ბრალს, მაგრამ ბოლო წლებია, მას არაფერი ჩაუდენია.

იგივეა უგულავასთან დაკავშირებით. თუ ასეა, თამლიანთან და ოქრუაშვილთან ერთად, მაშინ ნიკა მელია და გიგი უგულავაც იმ პერიოდში უნდა დაეჭირათ. ან თუნდაც ბოკერია. ბოკერიას რატომ ვერ იჭერენ?!

– რატომ?

– მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ ამ ხელისუფლებას ერთი ადგილი არა აქვს ბოკერიას დასაჭერად. გიგა ბოკერიას ძალიან ბევრი მფარველი ჰყავს დასავლეთში და ამიტომ ვერ აკავებენ, თორემ ზუსტად იმწილად, რა წილადაც, მაგალითად, დამნაშავეა ოქრუაშვილი, ან გიგი უგულავა, ზუსტად ისეთივე დამნაშავეა გიგა ბოკერიაც.

ეს ადამიანები ძალიან საეჭვო გარემოებებში დააკავეს, ამიტომ არის კითხვის ნიშნები და ამიტომ მოიხსენიებენ მათ უკანონო პატიმრებად, თორემ გიგი უგულავას მართლაც რომ ბევრი დანაშაული აქვს თავის დროზე ჩადენილი.

ხაზგასმით აღვნიშნავ აქვე, რომ გიორგი რურუა არამც და არამც არ არის პოლიტპატიმარი. მე ჯერ კიდევ წლების წინ ვამბობდი და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ეს ადამიანი არის მოსიარულე კრიმინალი. მას მფარველობდნენ მისი ძმა და პრეზიდენტი მარგველაშვილი.

– მარგველაშვილი?

– დიახ, ხაზგასმით ვიძახი, ჟორიკა რურუას მფარველობდა პრეზიდენტი მარგველაშვილი. მარგველაშვილი რომ პრეზიდენტი აღარ იყო, ეტყობა, დაუდგა მას ეს პერიოდი. ის წლებია, უკანონო იარაღს დაატარებდა აქეთ-იქით. გაუფორმებელი იარაღი ნიშნავს იმას, რომ ის სასროლად და დანაშაულის ჩასადენად არის გამზადებული. ვინც არის მთაწმინდელი და ვერელი, ყველამ კარგად იცის მისი ბიოგრაფია.

– თუმცა, ისეთ სიტუაციაში დააკავეს, რომ ხელისუფლებასთან არის კითხვები.

– კი ბატონო, მაშინ მეც მაქვს კითხვა, ასე რომ სდომებოდათ, რაღა მაინცდამაინც რურუას იჭერენ? დაიჭირონ გვარამია, თუკი ამ ტელევიზიის მოყუჩება უნდათ. ლოგიკა არ არის ამაში. ამიტომ მე რურუას ვერ მოვიხსენიებ უკანონო პატიმრად.

– თუმცა გარიგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ ამ პირების გამოშვებაა.

– აი, ეს არის ზუსტად უბედურება, რომ მავანს ეძლევა იმის უფლება, ამ ხელისუფლების დამსახურებით, რომ ცნობილ კრიმინალებს, რომლებსაც სისხლში აქვთ ხელები გასვრილი, დღეს ეწოდონ პოლიტპატიმრები! აქცია რომ მოაწყვეს, ამ მუხლებით არ უნდა იყვნენ დაკავებულები. აქციის მოწყობა დანაშაული სულაც არ არის. აქ მთავარი ის არის, რომ გიგი უგულავა გამოდგებოდა ტელევიზიებით და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ხელისუფლებას, ბიძინა ივანიშვილს. გინების გამო არ შეიძლება ადამიანების დაჭერა. ხელისუფლების ლანძღვის გამო რომ გაუშვეს ეს ხალხი ციხეში, აი, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება.



ახლა კი დგება ის სიტუაცია, რომ სალომე ზურაბიშვილმა ეს ადამიანები ჩათვალოს პოლიტპატიმრებად და ისინი შეიწყალოს.

– ანუ სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს?

– მე მაქვს ინფორმაცია, რომ რურუას და უგულავას შეიწყალებს პრეზიდენტი. რა გამოდის ახლა, დეკანოზ გიორგი მამალაძეს საპატრიარქომ აპატია, პრეზიდენტსაც მიმართეს შუამდგომლობით და მამალაძე არ შეიწყალა სალომემ და რურუა უნდა შეიწყალოს?! სერიოზულ კრიტიკას დაიმსახურებს „ოცნება“ და მერე აღარ გამოუვათ ის საუბრები, სალომე ჩვენი პარტიის წევრი არ არისო.

– ანუ გამოუშვებენ და სალომეს გადააბრალებენ?

– რაღაცით ხომ უნდა იმართლონ თავი. გამოუშვებენ და სალომეს შეაწმენდენ ხელებს. ჰოდა სალომეს რომ ქუჩაში ლაყე კვერცხი მოხვდება, არ გაუკვირდეს.

– ანუ უკვე გადაწყვეტილია ამ პირების გამოშვება?

– კი, არსებობს გეგმა ამ ადამიანების გამოსაშვებად.

– რურუას და უგულავას პრეზიდენტი შეიწყალებსო და რა ბედი ელის ოქრუაშვილს?

– ყველაზე უდანაშაულო ამ პირებს შორის არის სწორედ ოქრუაშვილი და თუ ვინმე შეიძლება ვცნოთ პოლიტპატიმრად, სწორედ ის არის. ან თამლიანს რომ ედავებიან რაღაცებს, გრიგოლ ვაშაძეს რატომ არავინ უბედავს დაპატიმრებას?! კამერები ჩამოარტყა პოლიციელს თავში. რა, ეს არ იყო დანაშაული?!

– მაშინ რა პრინციპით მოხდა დასაკავებელი პირების შერჩევა?

– დაიჭირეს ისინი, ვინც შეკრულები არ არიან ხელისუფლებასთან და ვისაც მფარველები არ ჰყავს დასავლეთში. ყველაფრის ორგანიზატორი გიგა ბოკერიაა, მაგრამ უბედავს ვინმე რამეს?! ყველაფერი უკვე შეთანხმებული და გადაწყვეტილია და ვისზეც არის მოთხოვნა, მათ გამოუშვებენ. დასხდნენ ელჩები და ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკა მათ გადაგვიწყვიტეს.

– ხომ შეიძლება, რომ სულაც არ შეასრულოს ხელისუფლებამ დადებული პირობა, არ გამოუშვას დაკავებულები და სულაც ამ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც თქვას უარი?

– კორონავირუსმა მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში შეცვალა დღის წესრიგი. ეუთომ გადადო თავის შეხვედრები. ყველა ორგანიზაცია თავშეკავებულად იქცევა.

– სწორედ ამას გეკითხებით, ამ ფონზე ამ ცვლილებებსაც ხომ არ დაემუქრება საფრთხე?

– მოდით, ეს თემა ძალიან ლოგიკურად გავშალოთ. ერთ მხარეს არის ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, ხოლო მეორე მხარეს მთელი ოპოზიცია და დასავლეთი. გასულ ზაფხულს ხომ შედგა ეს შეთანხმება დასავლეთსა და მმართველ ძალას შორის, რომ ეს ცვლილებები იქნებოდა?! თუმცა ეს შეთანხმება მერე რაღაცა ხრიკებით დაირღვა. ამ დარღვევამ გამოიწვია ის, რომ ივანიშვილმა დაკარგა თავისი გუნდის ერთი ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტად იყო დასავლეთთან დაახლოებული. მე ასეთი კითხვა მაქვს, მაშინ რატომ დაკარგა ბიძინა ივანიშვილმა ეს ხალხი, თუ მაინც დათმობაზე უნდა წასულიყო?! სად რის ლოგიკა?

– რა არის თქვენი კითხვის ქვეტექსტი?

– ის, რომ მაშინ რად უღირდა ამხელა დარტყმის აღება, მუქარა სანქციებით დასავლეთიდან, თუკი მაინც უნდა დაეთმო?! მე გეტყვით, რაც იქნება: რაღაც გადამწყვეტ მომენტში, ეს მომენტი კი გაიწელება და არჩევნებამდე ძალიან ახლოს მივა, მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ უკან წაიღებს თავის სიტყვას და არჩევნებს ჩაატარებს ძველი სისტემით.

ისეთი სიტუაციაა, რომ სულაც არ არის გამორიცხული, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს, ყოველდღე ახალ-ახალი აკრძალვები და რეგულაციებია. საქართველოში პანიკა აპრილის შუა რიცხვებში მიაღწევს პიკს. თუ გამოცხადდა სამხედრო კარანტინი, შესაძლოა, არჩევნები არც კი ჩატარდეს.

– ანუ ივანიშვილს იმედი აქვს, რომ ამ სიტუაციით დაიძვრენს თავს?

– დიახ, ასე იქნება. კორონა გადაარჩენს „ქართულ ოცნებას“. ისევე, როგორც 2008 წელს, ჩვენდა სამწუხაროდ, ომმა გადაარჩინა სააკაშვილი, ასე გადაარჩინა კორონამ „ქართული ოცნება“ და ივანიშვილი!

დღეს კორონა მთლიანად სამყაროს საფრთხეა და არჩევნები მაჟორიტარული წესით ჩატარდება თუ პროპორციულით, მაპატიეთ, მაგრამ ალბათ მოსახლეობის დიდ ნაწილს ფეხებზე ეკიდება. ირანში ყველაზე მეტად ვირუსის გავრცელება მოხდა არჩევნებისას. იმ პერიოდში სწორედ არჩევნები იყო.

თუკი ჩვენთანაც ისე დამძიმდა სიტუაცია, როგორც სხვა ქვეყნებშია, რა ცივგულიანი უნდა იყო, რომ გამოხვიდე და არჩევნებზე ისაუბრო. ამიტომ გაძლევთ პირობას – არჩევნები თუკი საერთოდ ჩატარდა, ჩატარდება ძველი სისტემით.

„ივანიშვილის ვალია, ახლა ხალხში გამოჩნდეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საგანგებო ზომების მომხრე ვარ“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, პარლამენტში საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა, რომელმაც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმების შესრულება უნდა უზრუნველყოს. კომისიას მხარი ოპოზიციამაც დაუჭირა, თუმცა სოფო კილაძეს არ ახსენდება, რომ პოლიტპატიმრებს მოლაპარაკება შეხებოდა. რას უპასუხებთ?

– სოფო კილაძე ბიძინა ივანიშვილის კარის ურცხვი ჯამბაზია. ათობით კონგრესმენი, სენატორი, ევროპარლამენტარი აცხადებს, რომ რეპრესიები, პოლიტიკური დევნა უნდა შეწყდეს და როგორ არ ახსოვს?! ძალიან კარგად ახსოვს, უბრალოდ, არ უნდა, რომ გაიხსენოს.

– მოლოდინი როგორი გაქვთ, სააღდგომოდ უგულავას პრეზიდენტი შეიწყალებს?

– თუკი ივანიშვილს კეთილგონიერება ოდნავ მაინც დარჩენია, მოუწევს შეთანხმების ბოლომდე შესრულება და პოლიტპატიმრების განთავისუფლება. პრაქტიკულად მას სხვა შანსი არ აქვს.

– პარლამენტში, საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად, ოპოზიციის ხმებია საჭირო. საპარლამენტო ოპოზიცია უარს აცხადებს კენჭისყრაში მონაწილეობაზე. შეიძლება ცვლილებების პროექტი ჩავარდეს?

– კენჭისყრამდე ერთი თვეა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. რასაკვირველია, პოლიტიკური დევნის შეწყვეტა და პოლიტპატიმრების განთავისუფლება პრინციპული საკითხია, მაგრამ გადაწყვეტილება იქნება ოპოზიციის მხრიდან მისაღები კენჭისყრის დროს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებების დისტანციურ განხილვას, რა თქმა უნდა, რისკები უნდა იყოს გათვლილი და სხვა გზა არ არსებობს. ისე კი, უნდა ვთქვა, რომ ასეთი განხილვები ყოველთვის ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამდენად, ბევრს არაფერს ვკარგავთ, მაგრამ ზოგადად ეს დემოკრატიის დაბალი დონის მაჩვენებელია, რასაკვირველია, ასეთი მიდგომა გამოსასწორებელია.

– ოპოზიციის ნაწილი ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებს, რადგან ის არ ჩანს კრიტიკულ ვითარებაში. თქვენი პოზიცია როგორია?

– ბიძინა ივანიშვილის ვალია, რომ მას ჰქონდეს საჯარო გამოსვლები ამ კრიტიკულ სიტუაციაში, რადგან ის მმართველი პარტიის ლიდერია. მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ხელისუფლების ძალისხმევის იმედი, ამდენად, მისი ვალია, რომ აქტიურობდეს.

თუ არ ჩავთვლით იმ დიდ სამეულს, როგორც მათ ხალხმა უწოდა, ცერცვაძეს, გამყრელიძეს და იმნაძეს ვგულისხმობ, ცხადია, მაღალი კვალიფიკაციის ექიმებსაც ვგულისხმობ, სხვა მხრივ ჯანდაცვის სამინისტრო კარგად არ გამოიყურება.

ფარმაცევტული ბაზარი საერთოდ კატასტროფულ ვითარებაშია. ქვეყანაში უმძიმესი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების შედეგები გვაქვს. ამ წუთში, მართალია, მძიმე ვითარება არ გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ რისკი რჩება და ფარმაცევტული ბაზარი სწორედ ამით მანიპულირებს. ბაზარზე შეინიშნება უკიდურესი დეფიციტი წამლების, პირბადეების, სხვადასხვა საჭირო მასალის და ფასების ხელოვნური ზრდა. ახლა, ამ ვითარებაში მაინც ხელისუფლება უნდა ჩაერიოს.

– რას ურჩევდით?

– ანტიმონოპოლიური ღონისძიებებია გასატარებელი. ოქრიაშვილის მსგავსი ოლიგარქი მონოპოლისტი წურბელები კვლავ კრიტიკულ სიტუაციაში ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე ცდილობენ ფულის კეთებას.

სასურსათო უზრუნველყოფაზეც უნდა ვთქვა, რადგან ფასები იქაც ხელოვნურად არის მომატებული. ეს უნდა დარეგულირდეს. ხელისუფლება ამ მიმართულებით უფრო ადეკვატური უნდა იყოს. უფრო მკაცრი ზომების მომხრე ვარ რეგულაციების კუთხით, მათ შორის მნიშვნელოვანია ბაზრობების დაკეტვა.

მთავრობას მიშვებული აქვს თავის ნებაზე ინფექციის ისეთი კერა, როგორიც ბაზრობებია. გაუმაძღარი მეპატრონეები, როგორც ჩანს, რაღაცას ვერ იყოფენ.

– ბაზრობების დაკეტვის რეკომენდაციით გამოდიხართ?

– დიახ, დროებით, კრიტიკულ პერიოდში მაინც. თუმცა, ეს ადამიანები უნდა განთავისუფლდნენ გადასახადებისგან.

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ემხრობით?

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, იმედი მაქვს, არ იქნება ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციების საგანი, რასაც შეიძლება არჩევნების ჩაშლა მოჰყვეს.

მე უფრო საგანგებო ზომების მომხრე ვარ.

მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, მარაგებზე უნდა ეზრუნა“

„ხელისუფლებამ პირბადეებით, დისტანციური სკანირების აპარატებითა და ჩიპიანი სამაჯურებით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა მოაგვაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ არის ნაადრევი იმის თქმა, რომ კორონავირუსი „ქართული ოცნების“ მოკავშირედ იქცა? რისი და ვისი დამსახურებაა, რომ საქართველოს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ზოგიერთ სხვა ქვეყანაზე უკეთესია? რა უნდა ეღონა საქართველოს მას შემდეგ, რაც ახალი კორონავირუსი ჩინეთს მოედო? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

– ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ კორონავირუსი უნებლიეთ „ქართული ოცნების“ მოკავშირედ იქცა. ასე კარგადაა საქმე?

– ჩემი აზრით, ამგვარი დასკვნები მცდარია. ასეთი მოსაზრებების გამოთქმა ნაადრევიც არის. ეტყობა, საზოგადოებაში ბევრი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ კორონავირუსთან ომში უკვე გაიმარჯვა და ამის გამო საარჩევნო დივიდენდებიც მიიღო. თუ ჩვენს მდგომარეობას ადარებენ ისეთი სახელმწიფოების ეპიდემიოლოგიურ ვითარებას, როგორიც, მაგალითად, იტალიაა, აქ სხვა ფაქტორები ამოქმედდა. ჩვენ ასეთი ქვეყნების ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას ერთი ფაზით ჩამოვრჩებით. ეს ასეა, მაგრამ ამაში ხელისუფლების ღვაწლი არ იკვეთება.

– ითვლება, რომ იტალია ტურისტების დიდმა ნაკადმა ჩააგდო ამ დღეში.

– იტალიის ზოგიერთი ქალაქი, კერძოდ, მილანი, იყო მდიდარი ჩინელების თავმოყრის საყვარელი ადგილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩინეთში კორონავირუსი გავრცელდა. საქართველო ამ მხრივაც უფრო დაცულია და იმ მხრივაც, რომ არ არის სატრანსპორტო კვანძი.

– საქართველო სატრანსპორტო კვანძად ხომ ითვლება?

– საქართველო რეგიონული სატრანსპორტო კვანძია. ვიყავი სატრანსპორტო პროექტების ხელმძღვანელი და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო არ შედის მსოფლიოს 200 წამყვან სატრანსპორტო კვანძს შორის. ამ მიზეზების გამო გვაქვს შედარებით ნაკლებად საგანგაშო ვითარება და ერთი ფაზით ჩამოვრჩებით სხვებს.

– ირანში რატომ იფეთქა ვირუსმა?

– ჩინეთთან მჭიდრო კავშირების გამო. აშშ-მ და მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა ირანს სანქციები გამოუცხადეს. ამ პერიოდში ირანმა ჩინეთთან თანამშრომლობა გააღრმავა. ირანული ნავთობის ექსპორტი ჩინეთში გადიოდა. ამ რაოდენობით ჩინური იმპორტი შედიოდა ირანში. უხანი სამრეწველო ცენტრია და ირანელებს იქ დიდი მიმოსვლა ჰქონდათ. ჩვენ ჩინეთთან ამ მასშტაბის კომუნიკაცია არ გვქონია. კიდევ კარგი, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება სრულად არ ამოქმედებულა, თორემ უმძიმესი ვითარება გვექნებოდა.

– ამ სიტუაციაში ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებს ბევრი საქართველოში დადებითად ხვდება.

– სამწუხაროდ, ხელისუფლებამ პირბადეების პრობლემაც კი ვერ მოაგვარა.

– სპეციალისტები ამბობენ, რომ პირბადე ჯობია გაიკეთოს ინფიცირებულმა, სხვებისთვის კი ის აუცილებელი არ არის და ნიღაბი დაცვის გარანტიასაც არ იძლევა.

სამედიცინო პირბადეების გამოყენება მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა. ჩვენ ხომ არ გამოვიგონებთ ველოსიპედს?! ხელისუფლებამ როცა გაიგო, რომ ჩინეთში ასეთი ამბავი ტრიალებს, კეთილი უნდა ენება და პირბადეები დიდი რაოდენობით შემოეტანა. ამისათვის მას 70 დღეზე მეტი ჰქონდა. ორგანიზაციულად დღემდე ჩამოუყალიბებლები ვართ. სიცხის გასაზომად გამოიყენება დისტანციური სკანირების აპარატები. საქართველოში ესეც არ გვაქვს.

– ხომ იყენებდნენ აეროპორტში ასეთ აპარატებს?

– რამდენიმე აპარატი თუ არის, ეს საკმარისი არაა. მოუგვარებელია თვითიზოლაციაში მყოფი პირების კონტროლი.

– მართლაც, ის პირები, რომლებიც იზოლაციაში უნდა იყვნენ, არღვევენ რეჟიმის პირობებს და ხალხს საფრთხეს უქმნიან.

– ამიტომ საჭიროა კონტროლი და ამისათვის ჩიპებიანი სამაჯურები. კონტროლის მექანიზმი არ არსებობს და დასნეულებული ადამიანები, რომლებიც შეგნებით არ გამოირჩევიან, ავრცელებენ ვირუსს.

– რა მოლოდინი გაქვთ? საგანგებო მდგომარეობას შემოიღებენ?

– საგანგებო მდგომარეობა აქამდე უნდა შემოეღოთ. ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც გააჩერებს ვირუსს, მისაღებია. ყურის ძირში, ირანში, აპოკალიფსური სიტუაციაა. ამის გამო მაინც უნდა გამოგვეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. ირანის ოფიციალური სტატისტიკა მცდარია. მარტო ერთ ოლქში 10 დღეში 300 კაცია გარდაცვლილი. ირანის ოფიციალური მონაცემებით, სულ გარდაცვლილია 1.400 ადამიანი. ამ დროს თვითონ ირანელებს სხვა გონივრული ეჭვი აქვთ. ირანში მაქვს კონტაქტები. ირანელების გამოთვლებით, გარდაცვლილთა რიცხვი 8.000-მდეა. ამ ვითარებაში საქართველომ დროულად არ აკრძალა სატრანზიტო გადაზიდვები. ამას არ ვამართლებ. ხელისუფლებაში ამას თავისი ახსნა აქვს.

– კერძოდ?

– ქვეყანას არ გააჩნია სტრატეგიული მარაგები. ტრანზიტის დროულად ჩაკეტვით ხალხი მშიერი დარჩებოდა. გარდა ამისა, ტრანზიტის აკრძალვა საქართველოს გავლით არ აწყობდა რუსეთს. ამით ჩაიკეტებოდა სომხეთი. ჩვენ ჩვენს ინტერესებზე უნდა ვიზრუნოთ. მეზობლებმა თავიანთი პრობლემები თვითონ მოაგვარონ. არც ერთი მეზობელი ქვეყანა არ არის საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე. საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, რომ სტრატეგიულ მარაგებზე იმ დროს მაინც არ იზრუნა, როცა ვირუსი ჩინეთში გავრცელდა. ეპიდემიას ვებრძვით, მაგრამ, სანამ სატრანზიტო გადაზიდვები არ აიკრძალება, კომენტატორების როლში ვიქნებით. საქართველოს ვირუსი მაქსიმალურად უნდა შეეკავებინა. ამასობაში რაღაც დრო გავიდოდა და კორონავირუსი აგრესიულობას დაკარგავდა. ქათმის, ღორის გრიპები, ცნობილი „ისპანკა“ – ესენიც კორონავირუსებია. ყველა მათგანმა დაკარგა სიმწვავე მას შემდეგ, რაც გაიზარდა გადაცემის შემთხვევები ერთი ადამიანიდან მეორეზე. აგრესიულობის დაკარგვის შემდეგ ისინი საშიშნი აღარ არიან. საუბედუროდ, ჩვენ ზომები დროზე ვერ მივიღეთ.

ახლა ერთი ფაზით ჩამოვრჩებით რამდენიმე ქვეყანას, რაც არ არის საქართველოს ხელისუფლების დამსახურება. რუსეთიდან ტრანზიტი კიდევ ცალკე თემაა. ციმბირში რუსებზე მეტი ჩინელი ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ რუსეთსა და ჩინეთს ერთმანეთთან უვიზო მიმოსვლა ჰქონდათ. ვინ დაიჯერებს, რომ რუსეთში ის რაოდენობაა დაავადებული, რომელსაც აცხადებენ? რუსეთი ტესტირებასაც ვერ ახდენს. ვირუსის გამოსავლენი ტესტები მარტო მოსკოვსა და ნოვოსიბირსკშია აპრობირებული. ტრანზიტი საერთოდ საშიშია, მით უმეტეს, რომ თითოეულ ტრაილერს ორ-ორი კაცი მოჰყვება.

– ჩვენთან დიაგნოსტირება ლუგარის ლაბორატორიამ გააადვილა.

– რასაკვირველია. წინა წლებში აქაური ბევრი კომენტატორი პირში წყალს იგუბებდა მაშინ, როცა რუსული პროპაგანდა ლუგარის ლაბორატორიას უტევდა და რას არ უგონებდა. მაშინ იშვიათი გამონაკლისი ვიყავი, რომელიც ლუგარის ლაბორატორიის დიდ მნიშვნელობაზე ვლაპარაკობდი. ეს კარგად აღჭურვილი ლაბორატორია ამერიკელებმა ააწყვეს და საქართველოს აჩუქეს. დღეს ლუგარის ლაბორატორიას დადებითად უკვე ბევრი მოიხსენიებს.

მამუკა ტუსკაძე: „საქართველოში ოფიციალურად საგანგებო მდგომარეობა არ უნდა გამოცხადდეს“

გულიკო ბალაძე

რატომ შეიძლება არ აცხადებდეს მთავრობა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას კორონავირუსის გამო? – „ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, რამდენად მომგებიანია მცირე პარტიებისთვის საარჩევნო კანონთან დაკავშირებული შეთანხმება და 1%-იანი ბარიერი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებით ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიებს დაუწესდებათ?

– პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ მიესალმება და კმაყოფილია იმ შედეგით, რომელიც საარჩევნო კანონთან დაკავშირებით წარმოებული მოლაპარაკების შედეგად დაიდო და დაწესდა 1%-იანი ბარიერი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ პოლიტიკურ ძალებს, ახალ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და მოძრაობებს დამოუკიდებლად შეუძლიათ, თავიანთი სიტყვა თქვან ჩვენი ქვეყნის მომავლისა და განვითარების საქმეში. ამ შემთხვევაში სწორედ ჩვენი ორგანიზაცია მიესალმება, რადგან დაახლოებით 18 ათასი ხმა შეიძლება იყოს საჭირო 1%-იანი ბარიერის გადასალახად.

ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია კარგი მობილიზაციის პირობებში საქართველოს მასშტაბით 18 ათასი ხმის მოპოვებას შეძლებს, რათა შემდგომ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იყოს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“.

ძალიან კმაყოფილი ვართ. უკვე ვმუშაობთ იმისათვის, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებში ჩვენ მივიღოთ ასეთი რაოდენობის ხმები და ხელი შევუწყოთ სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებას. ეს ყველაფერი უნდა ავსახოთ კანონმდებლობასა და შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

– წინასაარჩევნო პროცესებს კორონავირუსი ხელს ხომ არ შეუშლის?

– რა თქმა უნდა, შეუშლის.

– მაგალითად, ტრამპმა განაცხადა, რომ კორონავირუსით გამოწვეულმა პრობლემებმა შეიძლება აგვისტომდე გასტანოს. ეს წინასაარჩევნო პროცესს ხელს შეუშლის?

– დიდი ალბათობით, აგვისტომდე გასტანს, მაგრამ საქართველო ბევრ სხვა ევროპულ, წამყვან სახელმწიფოზე მეტად მობილიზებული აღმოჩნდა. ამიტომ გვაქვს, ჯერჯერობით, ასეთი დაბალი ცუდი შედეგი. თუ ყველაფერი ასე წავიდა, იმედია, ჩვენ – ოპოზიციური გაერთიანებები და მთავრობაც კოორდინირებულად ვიმუშავებთ ხალხის მხარდაჭერით.

ვიმედოვნებ, ეს არ გადაიზრდება კატასტროფაში – ძალიან მცირე რაოდენობა იქნება დაავადებული, ამ პრობლემას გადავლახავთ. დროში ეს გაიწელება, მაგრამ შეაფერხებს რეალური და ღირსეული საარჩევნო კამპანიის ჩატარებას.

– ეს არჩევნების შედეგებზე რამენაირად აისახება?

– ბუნებრივია, ეს არჩევნების შედეგებზეც აისახება. ამ პირობებში შესაძლებელია გადავიდეთ ელექტრონულ არჩევნებზე.

– ოქტომბრის არჩევნებისთვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა მოესწრება და შესაძლებელია, არჩევნები ელექტრონული სისტემით ჩატარდეს?

– ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა შესაძლებელია. თითქმის ყველა ამომრჩეველს აქვს საშუალება, ხმა ელექტრონულად მისცეს. ყოველ შემთხვევაში, იმ რაოდენობას მაინც აქვს შესაძლებლობა, ელექტრონულად მისცეს ხმა, რომ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალოს.

ამომრჩეველთა 1/3-ზე მეტს აქვს ელექტრონული პირადობის მოწმობა და ბიომეტრიული პასპორტი, რომ ამომრჩეველმა ელექტრონულ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ადამიანმა ტელეფონით შეიძლება მისცეს ხმა თავის სასურველ კანდიდატს.

– ტელეფონით როგორ უნდა მისცენ ხმა?

– ტელეფონში ჩატვირთავ სპეციალურ პროგრამას და ხმას მისცემ. კომპიუტერითაც შეიძლება ხმის მიცემა ან ამომრჩეველი უბანზე მივა. ამის გაკეთება მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუ საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდება.

– კორონავირუსთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე საუბრობთ?

– დიახ. კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, როდესაც საგანგებო მდგომარეობაა, არც არჩევნები ინიშნება, არც საარჩევნო კამპანია ტარდება და საერთოდ ყველაფერი პარალიზებულია. ამიტომ, სავარაუდოდ, დღევანდელი ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისაგან თავს სწორედ ამ მიზეზით იკავებს.

მინდა, ხელისუფლების ეს დამოკიდებულება შევაქო. იქნებ როგორმე არ გამოვაცხადოთ საგანგებო მდგომარეობა და სხვა პრევენციული ღონისძიებებით შემოვიფარგლოთ, რეკომენდაციები გავცეთ, როგორც დღეს კეთდება და არა საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადოთ და ხალხს ქუჩაში გადაადგილება ავუკრძალოთ.

– არჩევნები 31 ოქტომბერს არის. იქამდე დიდი დროა. თუ ხელისუფლება ახლა გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას, რაში შეუშლის ხელს არჩევნებს? კონსტიტუციით, რამდენი ხნით ადრე არ შეიძლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება?

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს კონსტიტუციასა და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება. თუ დღეს მთავრობა გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას, მინიმუმ ორი თვით უნდა გამოაცხადოს.

თუ კონსტიტუციაში ცვლილებები ორ თვეში არ იქნება მიღებული, შემდეგ თუ ორგანულ კანონში, საარჩევნო კოდექსში არ იქნება შეტანილი ცვლილებები, ბუნებრივია, ის შეთანხმება, რომელიც შედგა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ბათილი იქნება.

შესაბამისად, 31 ოქტომბრის არჩევნები 77/73-ზე მოდელით უნდა ჩატარდეს, რაც საქართველოს პოლიტიკურ რეალობას თავდაყირა დააყენებს. ამიტომ არის საჭირო, რომ საქართველოში ოფიციალურად საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდეს.

იქნებ საქართველოს მოქალაქეებზე ხვეწნა-მუდარამ გაჭრას, ინსტრუქციებს დაემორჩილონ და ისე გადავიტანოთ მძიმე დღეები. ასე შევძლებთ საგანგებო მდგომარეობის გარეშე არსებული კრიზისის დაძლევას.

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობები არის?

– არა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საჭირო არ არის. ჯერჯერობით, მთავრობა ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით ახერხებს სიტუაციის მართვას.

სასამართლოებში ყველა სამოქალაქო საქმე გადაიდო. ყველას მიეცა რეკომენდაცია. თუმცა, სისხლის სამართლის საქმეებზე, საპატიმრო სასჯელებზე სასამართლოები არ გადადეს. ეს ურთულესი საკითხია. ზოგიერთი მოსამართლე დაჩქარებულად განიხილავს საქმეებს, ყოველდღე აქვს პროცესი. ეს არის ევროპული კონვენციის დარღვევა.

არ შეიძლება, პროცესი ყოველდღე იყოს ჩანიშნული, არ შეიძლება, პატიმარი ყოველდღე სასამართლოში დადიოდეს და არ ჰქონდეს საშუალება, ერთი პროცესიდან მეორე პროცესამდე გააანალიზოს სიტუაცია.

ასეთ რაღაცას აკეთებს რამდენიმე მოსამართლე და, იმედი მაქვს, ხელისუფლება ამას ყურად იღებს. შესაბამისად, ჩვენ გადავურჩებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას გადავურჩებით, თუ ხელისუფლება ასეთ საკითხებსაც მიაქცევს ყურადღებას. თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების წარმოება შეჩერდება.

ერთი მხრივ, საგანგებო მდგომარეობას არ ვაცხადებთ და კარგია, რომ არ ვაცხადებთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნორმატიული აქტია გამოსაცემი და, უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, 1 მარტიდან 1 აპრილამდე საქმეებზე ხანდაზმულობის ვადები და გასაჩივრების დრო გაჩერდეს. ეს აუცილებელი გასაკეთებელია.

ძალიან ბევრი სამუშაო აქვს მთავრობას, რომ შეძლოს და გადააგოროს ეს პრობლემა ისე, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდეს.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს სასამართლომ სასჯელის გადავადებაზე უარი უთხრა

ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძეს სასჯელი არ გადაუვადდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლილი მსხილაძემ გუშინ, 17 მარტს, მიიღო.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს პენიტენციარული სამსახურის წარმომადგენელმა ნიკა აბრამიშვილმა განუცხადა, ექსპერტიზის დასკვნით არ იკვეთება, რომ მსჯავრდებული მძიმე ავადმყოფობითაა დაავადებული.

– მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა სასჯელის მოხდის გადავადებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით არ ირკვევა, რომ მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით და აღნიშნული ხელს უშლის სასჯელის მოხდას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მე კომენტარს არ გავაკეთებ, ჩვენი პოზიციაც სწორედ ის იყო, რა გადაწყვეტილებაც სასამართლომ მიიღო. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, – განაცხადა აბრამიშვილმა.

კომენტარი გააკეთა დეკანოზის ძმამ თორნიკე მამალაძემ.

– ჩემი ინფორმაციით, მოსამართლე ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რამდენიმე წუთით პატრიარქს შეხვდა. ეჭვი მაქვს, რომ პატრიარქთან შეთანხმებით მოხდა ჩემი ძმის საპყრობილეში დატოვება, – განაცხადა მან.

თორნიკე მამალაძე სიცრუეს უწოდებს ინფორმაციას, რომ, ექსპერტიზის დასკვნით, გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე არ არის.

– თითოეული პირი, ვინც ექსპერტიზა ჩაატარა, სასამართლოში დაიკითხა, რომლებმაც ჩემი ძმის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა დაადასტურეს. მათ შორის, მოსამართლემაც თქვა, რომ სიმულაციას არ ემხრობოდა და თვლიდა, რომ ეს იყო ტყუილი, მაგრამ ისიც თქვა, მე ამ ადამიანს ვერ გავუშვებო.

არაერთხელ მითქვამს, თუ საპატრიარქო და მთავრობა არ ჩაერეოდა, ჩემი ძმის გათავისუფლება მოხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, პირადად პატრიარქი და მთავრობის მაღალჩინოსნები ბიძინა ივანიშვილის თამადობით, ამ საქმეში ერევიან, მათ სურთ ჩემი ძმა არ გამოუშვან და ფაქტიც სახეზეა. ვიდრე გადაწყვეტილებას გამოაცხადებდნენ, ვთქვი, რომ თუკი, სასამართლო დამოუკიდებელი იქნებოდა, ჩემ ძმას გამოუშვებდნენ, მაგრამ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის.

ქალბატონი მოსამართლე აგრძელებს ბესიკ ბუგაინიშვილის გზას. ინფორმაცია მაქვს, რომ ეს ადამიანი საპატრიარქოში ბრძანდებოდა და როგორც მითხრეს, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რამდენიმე წუთით პატრიარქს შეხვდა. ეჭვი მაქვს, რომ პატრიარქთან შეთანხმებით მოხდა ჩემი ძმის საპყრობილეში დატოვება, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას დეკანოზის ადვოკატი ქეთი ჩუთლაშვილი გაასაჩივრებს.

– დასკვნით სიტყვაში ყველა იმ გარემოების შესახებ მივუთითეთ, რომელიც სასამართლოს საფუძველს და შესაძლებლობას აძლევდა, რომ დეკანოზის მიმართ განაჩენის აღსრულება გადაევადებინა. კერძოდ, ჩვენ მივუთითეთ, რომ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და ეს მდგომარეობა შეუთავსებელი იყო სასჯელის მოხდის პირობებთან. ასევე მივუთითეთ, რომ მისმა მკურნალმა ექიმმა განმარტა, რომ გიორგი მამალაძის ქცევა ნამდვილად არ ატარებდა სიმულაციურ ხასიათს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე და მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, – განაცხადა ადვოკატმა.

მან აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გაიზიარა ეს გარემოებები.

– სასამართლოს განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნიდან არ დგინდებოდა, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. თუმცა, სასამართლომ ძალიან პოზიტიურად გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მან დეკანოზის ქცევაში სიმულაციური ხასიათი ვერ დაინახა, არ გაიზიარა სასჯელაღსრულების მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, თითქოს, გიორგი მამალაძის ქცევა სიმულაციურ ხასიათს ატარებდა.

თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასჯელის მოხდის პირობებთან შეუსაბამო არ იყო. სასამართლოს ამ შეფასებას არ ვეთანხმებით და მას გავასაჩივრებთ, – დასძინა ადვოკატმა ჩუთლაშვილმა.

ადვოკატი: „მოწმეები ამბობენ, რომ მარიანა ჩოლოიანს ლუკა სირაძეზე ზეწოლა არ განუხორციელებია“

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით დაკავებული გამომძიებლის მარიანა ჩოლოიანის ადვოკატ გაგი მოსიაშვილის განცხადებით, არასრულწლოვნის გამოკითხვისას შექმნილი დამთრგუნველი გარემო არა მარიანა ჩოლოიანის, არამედ სახელმწიფოს ბრალია.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გაგი მოსიაშვილმა სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა.

– მოწმეები მხოლოდ ერთადერთს ადასტურებენ, რომ ზეწოლას ლუკა სირაძის მიმართ ჩვენების მიცემის ნაწილში ადგილი არ ჰქონია. ლუკა სირაძის გამოკითხვა, გასაუბრება ჩვეულებრივ სამუშაო პროცესში მიმდინარეობდა. ბრალდების ის მოწმეები, რომლებიც დღევანდელ დღემდე არიან დაკითხული, მხოლოდ ერთადერთს ადასტურებენ, რაც მარიანა ჩოლოიანის გამართლების წინაპირობაა, – აღნიშნა გაგი მოსიაშვილმა.

მისივე განმარტებით, სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვა შესაბამის გარემოში ხდებოდეს.

– ის, რომ პირველ განყოფილებაში ღია სივრცეში ხდება არასრულწლოვნების დაკითხვა, მარიანა ჩოლოიანის ბრალეულობა ნამდვილად არ არის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ამოქმედების სრულფასოვნება წინაპირობა უნდა გახდეს, რომ თავად სახელმწიფომ უზრუნველყოს პოლიციის თითოეულ განყოფილებაში ინტერიერი, გარემო. პოლიციის ყველა განყოფილებას უნდა ჰქონდეს ის გარემო, სადაც შესაძლებელი იქნება კანონის განაწესი აღსრულდეს. აღნიშნული განაწესის შესრულებას გამომძიებლები ცდილობენ იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა აქვთ, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი აზრით, უნდა განვასხვავოთ არასრულწლოვნის ღია სივრცეში დაკითხვა მარიანა ჩოლოიანის ბრალიდან.

– მარიანა ჩოლოიანს სახელმწიფო წარდგენილ ბრალს იმიტომ ედავება, რომ თურმე მან განახორციელა ზეწოლა მოწმედ დასაკითხ პირზე. მოწმეების ჩვენებით, მარიანა ჩოლოიანის ქმედებაში ამგვარი რამ არ იკვეთება.

თუ სახელმწიფოს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს არასრულწლოვნისთვის გარემოს შექმნა, ამას მარიანა ჩოლოიანს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, – განაცხადა ადვოკატმა მოსიაშვილმა.

განსხვავებული პოზიცია აქვს პროკურორ ალექსანდრე ჩხეიძეს.

– პროცესზე დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის პირველი განყოფილების რიგითი თანამშრომლები დაიკითხნენ. ორივე მათგანმა დაადასტურა, რომ 2019 წლის 10 დეკემბერს, როცა არასრულწლოვანი ლუკა სირაძე ხსენებულ განყოფილებაში იმყოფებოდა გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანთან, ამ განყოფილებაში არასრულწლოვნისთვის დამთრგუნველი გარემო იყო შექმნილი.

მოწმეებმა დაადასტურეს ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გარკვეული გარემოებები. მოწმეებმა ჩოლოიანის პიროვნულ მახასიათებლებზეც ისაუბრეს და გასაკვირი არ არის, რომ თავიანთ თანამშრომელს დადებითად ახასიათებენ, თუმცა იმ ფაქტს ვერ გაექცევიან, რაც ვიდეოჩანაწერებში აღბეჭდილია.

დადასტურდა, რომ ლუკა სირაძე პოლიციის განყოფილებაში იმ სათანადო პირობებში არ იმყოფებოდა, როგორშიც ნებისმიერი არასრულწლოვანი უნდა იმყოფებოდეს. მისთვის, გარკვეულწილად, დამთრგუნველი და არასათანადო გარემო იყო შექმნილი, – აღნიშნა პროკურორმა ჩხეიძემ.

კითხვაზე, შესაძლოა თუ არა, რომ დაკითხული ორი პოლიციელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, ვინაიდან ისინიც იმავე განყოფილებაში იმყოფებოდნენ, სადაც ლუკა სირაძის გამოკითხვა მიმდინარეობდა, პროკურორი პასუხობს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ მარიანა ჩოლოიანის პასუხისმგებლობის საკითხია გამოკვეთილი.

– ამ ეტაპზე არათუ ამ ორი პოლიციის თანამშრომლის, არამედ საერთოდ არავის მიმართ დევნის დაწყების საფუძველი არ არსებობს. როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს ამ საქმიდან გამოყოფილ საქმეს – თვითმკვლელობამდე მიყვანისა და ჩვენების მიცემის ფაქტთან დაკავშირებულ საქმეს.

თუ ვინმეს მიმართ გარკვეული მტკიცებულებების სტანდარტი იქნება შეკრებილი, აუცილებლად სათანადო რეაგირება მოჰყვება, – განაცხადა პროკურორმა ჩხეიძემ.

15 წლის მოზარდი ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა ცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი დააკავეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 19 დეკემბერს შეუფარდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ლუკა სირაძის საქმეზე პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან ადმინისტრაციული გადაცდომა გამოკვეთა. უწყებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა პოლიციის მუშაკებისთვის შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

განზრახ მკვლელობისთვის რ.ბ.-ს 22 წელი მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მამაკაცს, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება და პოლიციელზე თავდასხმა ედებოდა ბრალად, 22 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევმა რ.ბ-მ, 2019 წლის 25 ივნისს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირში, წარსულში არსებული უთანხმოების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით რ.გ.-ს გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად რ.გ. ადგილზე გარდაიცვალა.

იმავე დღეს რ.ბ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებს, რომლებიც მის დასაკავებლად ოპერატიულ ღონისძიებებს ატარებდნენ. სროლის შედეგად ორი სამართალდამცველი ფ.ა და ბ.მ. ფეხის არეში დაიჭრა.

სამართალდამცველებმა მიმალვაში მყოფი რ.ბ. 2019 წლის 26 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით, 3531 მუხლის მეორე ნაწილით და 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინა (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის პოლიციელზე თავდასხმა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ რ.ბ სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 22 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 22 ადამიანი გადაიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით აქტიურად აგრძელებს.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, 16 მარტს, მთელი დღის განმავლობაში, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 22 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

თბილისიდან, ასევე, იმერეთის, სამეგრელოს, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებიდან 22 მოქალაქე, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, იძულებით საკარანტინო ზონაშია გადაყვანილი.

ამ დროისათვის, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში იძულების წესით 71 ადამიანია გადაყვანილი.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

გურიაში მოხუც ცოლ-ქმარზე ყაჩაღობისთვის შ.ო. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული შ.ო., ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 6-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 1 მარტს ბრალდებული 2 თანამზრახველთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში მცხოვრებ მოხუც ცოლ-ქმარს – 1939 წელს დაბადებულ გ.პ.-სა და 1940 წელს დაბადებულ ი.გ.-ს, მათსავე საცხოვრებელ სახლში ყაჩაღურად თავს დაესხა და ფული მოსთხოვა. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ თავდამსხმელები სახლის მეპატრონეებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, გასტაცეს 2.000 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დაშავებული ცოლ-ქმარი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მედიკოსებმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე – შ.ო., მომხდარიდან რამდენიმე დღეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავეს.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება გრძელდება ბინაში უკანონოდ შეღწევის გზით ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

ისრაელი: შეიქმნება თუ არა ახალი მთავრობა?!

ისრაელში მორიგი ვადამდელი არჩევნები დასრულდა. წინა არჩევნების მსგავსად, აქაც ლიკუდმა გაიმარჯვა, თუმცა მოპოვებული ხმები საკმარისი არაა საიმისოდ, რომ მთავრობა დააკომპლექტონ. ამრიგად პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. ძველ მთავრობას ვადა გაუვიდა, ახალი კი ვერ იქმნება.

ისრაელის პრეზიდენტი რივლინი როგორც ნეტანიაჰუს, ისე განცს შეხვდა. მოლაპარაკება პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა. რავლინმა კომპრომისული წინადადება წამოაყენა: მთავრობას ნეტანიაჰუ და განცი რიგრიგობით უხელმძღვანელებენ. ეს იქნება ფართო კოალიციური ხელისუფლება, სადაც ქვეყანაში არსებული ყველა ძალის წარმომადგენლები უნდა შეივიდნენ. მათ ერთი იდეა გააერთიანებს. ესაა ისრაელის დამოუკიდებლობისა და ებრაული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების სურვილი.

რივლინმა ახალი მთავრობის ფორმირება განცს დაავალა. ის მას გარკვეული დროის მანძილზე უხელმძღვანელებს, შემდეგ ნეტანიაჰუ შეცვლის და ა.შ.

ექსპერტები ეჭვობენ, რომ განცმა მთავრობის ფორმირება შეძლოს. განცს ჰაერივით სჭირდება როგორც არაბული პარტიების, ასევე ნაციონალისტური ორგანიზაცია „ისრაელი ჩვენი სახლის“ მხარდაჭერა. ამ უკანასკნელში ძირითადად სსრკ-დან ისრაელში გადასახლებული ებრაელები არიან გაერთიანებული. ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ არაბებთან ერთიან კოალიციაში არ შევლენ. მეორეს მხრივ, თუ არაბებმა განცს მხარი არ დაუჭირეს, მას მთავრობის ფორმირებისთვის საკმარისი მანდატი არ ექნება.

ამრიგად, პოლიტიკური კრიზისი ისრაელში ვერ გადაიჭრა. ქვეყანასაც პრემიერი არ ჰყავს. არსებობს მოვალეობის შემსრულებელი – ეს მთავრობის ძველი მეთაური ნეტანიაჰუა.

ევროკავშირში შესვლა იზღუდება

ევროკავშირში შესვლა 30 დღით შეიზღუდება.

ამის თაობაზე ევროსაბჭოს თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლიაინმა განაცხადა.

– ჩვენი ამოცანაა, კორონავირუსის გავრცელება არ დავუშვათ, – თქვა ფონ დერ ლიაინმა.

ევროსაბჭოს თავმჯდომარის ცნობით, ევროკავშირის ქვეყნებში როგორც ადამიანების, ისე ტრანსპორტის გადაადგილება შეიზღუდება. ამავე დროს, ე.წ. მწვანე ტრასები შეიქმნება. ამ ტრასებით როგორც სასწრაფო დახმარების მანქანები, ასევე ის ავტომობილები გადაადგილდებიან, რომელთაც პროდუქტები გადააქვთ.

პომპეომ ერაყი გააფრთხილა

ერაყში გახშირდა ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმები. აშშ-ის სახელწიფო მდივანი მაიკ პომპეო ამასთან დაკავშირებით ერაყის პრემიერ მაჰდის დაუკავშირდა.

პომპეომ განაცხადა, რომ ტერაქტები მიუღებელია. ტერორისტებსაც საკადრისად მოეპყრობიან. თუ თავდასხმები განმეორდა, ამერიკული მხარე თავდაცვით ღონისძიებებს განახორციელებს.

– ყველა მოძალადეს საკადრისი პასუხი გაეცემა, – თქვა პომპეომ.

კიევში მეტრო დაიკეტა

უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით, კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებად, 17 მარტიდან კიევის მეტრო დაიკეტა.

კიევის მერის, ვიტალი კლიჩკოს თქმით, შეზღუდვა ძალაში 3 აპრილამდე დარჩება.

– 17 მარტს, 23:00 საათიდან კიევის მეტრო აჩერებს მგზავრების ტრანსპორტირებას, აპრილამდე. სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი ჩვეულებრივად მუშაობს, – აღნიშნა კლიჩკომ.

მან კიევის მოსახლეობას მოუწოდა, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში სახლში დარჩნენ, ხოლო ვისაც არ შეუძლია სახლიდან იმუშაოს, იზრუნონ საკუთარ თავზე და სხვებზე და ატარონ ნიღბები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“ ტელეკომპანია „ქართული არხის“ წინააღმდეგ

სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“ ტელეკომპანია „ქართული არხს“ საავტორო უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს და კანონიერი ქმედებებით იმუქრება:

– „ქართული არხი“ კვლავაც იპარავს ქართულ ფილმებს, აჩვენებს უხარისხო ასლებს და ყველაფერთან ერთად მაყურებელს უქმნის უხარისხო ქართული კინოს შთაბეჭდილებას.

შეგახსენებთ, რომ „ქართული არხის“ სერვერი დგას ერთ-ერთი ეკლესიის კელიაში და იქიდან იმართება მამაოების მიერ.

მიუხედავად დიდი ხნის სიტყვიერი გაფრთხილებისა, ამ არხის მმართველობას არ აინტერესებს წესების დაცვა და ხშირად აჩვენებს ფილმებს არალეგალურად.

ამ თავნებობას აუცილებლად მოყვება კანონიერი ქმედებები „ქართული ფილმის“ მხრიდან.

არ იპარო!

ამის თქმა არ უნდა სჭირდებოდეს „მამაოს“.

ნიკოლოზ რაჭველმა ბერი ანდრიას ფონდს სოლიდური თანხა გადაურიცხა

ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა და დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა ბერი ანდრიას ფონდს სოლიდური თანხა გადაურიცხა.

ინფორმაცია ამის შესახებ ბერი ანდრიას დედამ თინათინმა გაავრცელა:

– ყველასთვის საყვარელი ქართველი მუსიკოსი, ევგენი მიქელაძის სახელობის საშემსრულებლო ხელოვნების ეროვნული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი; საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) ელჩი ნიკოლოზ რაჭველი არასოდეს ტოვებს უყურადღებოდ ჩვენი, ბერი ანდრიას სახელობის ფონდის შვილობილებს.

ამჯერადაც, მსოფლიო ძნელბედობის ჟამს, როცა ფონდი კარანტინის რეჟიმში აგრძელებს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბავშვებზე ზრუნვას, ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა დროული მატერიალური დახმარება გაგვიწია, გარკვეული თანხა 2169.00 ლარი ჩაგვირიცხა ფონდის ანგარიშზე!

მადლი უფლისა გიმრავლდეს, მადლობა თანადგომისთვის ნიკოლოზ!

მალხაზ ქვრივიშვილს ინფარქტი დაემართა

რუსთაველის თეატრის მსახიობს მალხაზ ქვრივიშვილს ინფარქტი დაემართა. იგი ჯოენის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

მალხაზ ქვრივიშვილი:

– გულმა დამისტუკა... გამიკეთეს უკვე გადაუდებელი...

მშვიდობა და ჯანმრთელობა ყველას, მოთმინება და გამძლეობა. დღეს მეც უკეთესად ვარ, გადავრჩი.

მადლობა ლაშა ჩანტლაძეს, მადლობა ჯოენის სამედიცინო ცენტრის ყველა თანამშრომელს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გიორგი ლობჟანიძე მსოფლიოს საუკეთესო პოეტების ათეულში შეიყვანეს

ქართველი პოეტი გიორგი ლობჟანიძე მსოფლიოს საუკეთესო პოეტების ათეულში დასახელდა.

ალეტის კონკურსმა ის 10 ფინალისტი დაასახელა, რომლებიც რჩეულ პოეტთა ჩამონათვალში მოხვდნენ. მათ შორისაა ქართველი გიორგი ლობჟანიძე:

– განსაკუთრებით მახარებს, რომ ლექსების მთელი ციკლია გამარჯვებული და ეს არის „ჩემი სოფლის სასაფლაო“, რომელსაც სულ მეგონა, რომ მხოლოდ ჩემთვის ვწერდი.

ნაომი კემპბელმა თვითმფრინავით ფრენის შემდეგ მანტო გადააგდო

სუპერმოდელმა ნაომი კემპბელმა ცნობილი ბრენდის Burberry-ს მანტო თვითმფრინავით მგზავრობის შემდეგ კორონავირუსის შიშით გადააგდო.

მოდელმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის სამედიცინო ნიღბით და ასევე ტყავით გაწყობილ ბეჟიფერის პონჩოშია გამოწყობილი და რომელიც მან დამცავიო კოსტიუმის ზევიდან მოიცვა.

– ღმერთო ჩემო, იმედი მაქვს, ეს პლედი არ არის თვითმფრინავიდან და პირადად შენი ნივთია. ისინი ქიმწმენდას მცირე ყურადღებას აქცევენ, – დაწერა თავის კომენტარში ერთ-ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა, რაზეც კემპბელმა უპასუხა, რომ მანტო ჯერ კიდევ აეროპორტში ჩამოფრენისთანავე გადააგდო.

ბრიტანული მოდის სახლის გვერდზე აღნიშნული პონჩო 2790 დოლარად იყიდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ევროპის საფეხბურთო პირველობა 2021 წლის ზაფხულში გაიმართება

ფლეი ოფი სექტემბრამდე უნდა შედგეს

ევროპული ფეხბურთის მთავარი მმართველი ორგანოს, უეფას გადაწყვეტილებით, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც 12 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით „ბებერი კონტინენტის“ 12 ქალაქში უნდა ჩატარებულიყო, წელს აღარ გაიმართება. ამის მიზეზი მსოფლიოში გავრცელებული კორონავირუსის საფრთხეა.

ევროპირველობა ერთი წლით გადავადდა და 2021 წელს 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

ევროპის საფეხბურთო კავშირმა ეს გადაწყვეტილება გუშინ გამართულ ვიდეოკონფერენციაზე მიიღო, რომელზეც მიწვეული უეფას წევრი 55 ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლები იყვნენ. ვიდეოკონფერენციაში ასევე ერთვებოდნენ ევროპული კლუბების ასოციაციის ხელმძღვანელები და ევროპული ლიგებისა და ფეხბურთელთა პროფკავშირის წარმომადგენლები. მიზანი სწორედ კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ვითარების განხილვა იყო.

კონტინენტის მე-16 გათამაშების ფინალური სტადიის მონაწილე 20 ნაკრები უკვე ცნობილია და ჯგუფებიც დაკომპლექტებულია, თუმცა – არასრულად.

დარჩენილი 4 საგზურისთვის ბრძოლას 16 ნაკრები, მათ შორის საქართველოც აგრძელებს. საქართველოს ნაკრებს ფლეი ოფის ნახევარფინალში მეტოქედ ბელარუსი ჰყავს, მასთან გამარჯვების შემთხვევაში კი საგზურისთვის ჩრდილოეთ მაკედონიისა და კოსოვოს წყვილში მოგებულს დაუპირისპირდება.

აქედან გამომდინარე, გადადებულია ფლეი ოფის შეხვედრებიც, მაგრამ არაუგვიანეს აგვისტოსი. მოგეხსენებათ, სექტემბერში ახალი ერთა ლიგის გათამაშება იწყება და ფლეი ოფის შეხვედრები მანამდე უნდა მოესწროს.

უეფამ ევროპაში გავრცელების ახალი ვირუსის გამო ჯერ კიდევ 13 მარტს შეაჩერა მისი ეგიდით მიმდინარე ყველა საკლუბო ტურნირი. გაურკვეველი დროით გადაიდო 18 და 19 მარტს დაგეგმილი უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩები და ევროპალიგის ამავე ეტაპის 20 მარტს გასამართი ყველა საპასუხო შეხვედრა. შესაბამისად, გადავადდა ამ ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპების წილისყრაც (20 მარტი).

ასევე გადაიდო უეფას ჭაბუკთა ლიგის მეოთხედფინალის შეხვედრები, რომლებიც 17 და 18 მარტს უნდა ჩატარებულიყო.

ვიდეოკონფერენციაზე იმსჯელეს ეროვნული ჩემპიონატების შესახებაც. კორონავირუსის ეპიდემიის გამო ამჟამად ევროპის თითქმის ყველა ჩემპიონატი შეჩერებულია და უეფას კალენდრის კორექტირება მოუწევს.

უეფას სურს, რომ ყველა ჩემპიონატი 30 ივნისამდე დასრულდეს, ასევე, ზაფხულის ბოლომდე ჩამთავრდეს ჩემპიონთა ლიგა და ევროპა ლიგა.

ალახვერდოვმა ლიცენზია მოიპოვა, მაგრამ ოლიმპიადაში მონაწილეობა საეჭვოა



ლონდონში მოკრივეთა სალიცენზიო ტურნირზე საქართველოს ნაკრების წევრმა სახილ ალახვერდოვმა 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

საქართველოს ნაკრების წარმომადგენელს ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად შესაბამის წონაში მეოთხედფინალში გასვლა სჭირდებოდა. ალახვერდოვმა პროგრამა მინიმუმი შეასრულა – მერვედფინალში სერბი დუშან იანიჩი 5:0 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზეც გავიდა. ალახვერდოვი 19 მარტს ფრანგ ბილალ ბენამასაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ტურნირის მასპინძლებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნით ასპარეზობები შეწყვიტეს. ევროპული ტურნირი 14 მარტს დაიწყო და 24 მარტამდე უნდა გაგრძელებულიყო.

– კორონავირუსის გამო მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოკრივეთა შეჯიბრებებზე პასუხისმგებელმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) მიზნობრივმა ჯგუფმა ლონდონში მიმდინარე ევროპის საკვალიფიკაციო ასპარეზობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, ასევე მსოფლიოს შესარჩევი ტურნირებისა, რომლებიც მაისში უნდა ჩატარებულიყო.

ათლეტთა, ოფიციალურ პირთა და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა სოკ-ის მიზნობრივი ჯგუფისთვის უმთავრესია. შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულია მგზავრობაზე და საკარანტინო შეზღუდვების გაზრდილი გლობალური ფონის გათვალისწინებით, რათა 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელს საშუალება მიეცეს სამგზავრო გეგმები დააკორექტიროს და შინ დაბრუნდეს.

მიზნობრივი ჯგუფი გააგრძელებს ვითარების ყოველდღიურ შეფასებას, რათა მაისსა და ივნისში კვოტების განაწილება დაასრულოს, – წერია განცხადებაში.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეჟან ჭიჭინავას კი ლონდონში, ალახვერდოვის გარდა, 6 სპორტსმენი ჰყავდა წაყვანილი: არტიუშ გომციანი (57 კგ), ლაშა გურული (63 კგ), ესკერხან მადიევი (69 კგ), გიორგი ხარაბაძე (75 კგ), ნიკოლოზ ბეგაძე (91 კგ) და გიორგი ჭიღლაძე (მძიმე).

საწყის ეტაპზე თავიანთი ბრძოლები მოიგეს გიორგი ხარაბაძემ და ესკერხან მადიევმა, მაგრამ მეტი აღარ დასცალდათ, თორემ ლიცენზიები, შესაძლოა, მეტიც ყოფილიყო.

ერთია, სალიცენზიო ტურნირების ჩატარებას საფრთხე ემუქრება. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო ათლეტთა კომისიის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებთან სატელეფონო კონფერენციით განიხილავს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირების გადადების საკითხს.

კორონავირუსის გავრცელების ფონზე, როდესაც სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი ფაქტობრივად სრულად ჩამოშლილია, სოკ-ის და სპორტული ფედერაციების უმთავრესი ამოცანა ტოკიო-2020-ის საკვალიფიკაციო სისტემის გადაწყობაა.

არაერთმა ფედერაციამ სოკ-ს უკვე მიმართა თხოვნით, გახანგრძლივდეს საკვალიფიკაციო ვადები, ხოლო რიგი ფედერაცია საგზურების გასანაწილებლად განიხილავს მოცემულ მომენტში არსებული რეიტინგის გამოყენებას.

სოკ-ის პრეზიდენტმა თომას ბახმა, რომელიც სატელეფონო კონფერენციას გაუძღვება, გასულ კვირას დაადასტურა, რომ კორონავირუსის გამო საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს „სერიოზული სირთულეები“ შეექმნა.

სანამ ბახი ბჭობდა, მანამდე კორონავირუსით დაავადებული სწორედ ტოკიოში აღმოჩნდა. იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი კოზო ტაშიმა ახალი ვირუსით დაინფიცირდა. ტაშიმას ტესტი ჩაუტარდა და პასუხი დადებითი აღმოჩნდა.

ტაშიმა თებერვლის ბოლოდან მარტის დასაწყისამდე ბრიტანეთში, აშშ-სა და ჰოლანდიაში იმყოფებოდა და, სავარაუდოდ, მოგზაურობისას დაინფიცირდა.

ტაშიმა აზიაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი სპორტული მენეჯერია. იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტობის გარდა, აღმოსავლეთ აზიის ფეხბურთის ასოციაციის მმართველი და, ამავდროულად, იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს.

რონალდინიოს გირაოზე უარი უთხრეს

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდინიო კვლავ პარაგვაის ციხეში რჩება. რონის მეორედ უთხრეს უარი საპატიმროს დატოვებაზე და შიდაპატიმრობაში გადასვლაზე.

როგორც უცხოური პრესა იტყობინება, რონალდინიოს სასამართლომ 1.6 მილიონი ევროს გირაოზე უარი განუცხადა და მისი ახლო მომავალში გათავისუფლება არ იგეგმება.

ბრაზილიელი ფეხბურთელიც ციხეშიც „მშვენივრად“ გრძნობს თავს. ერთობა ფეხბურთითა და საპრიზო ფონდებით საკვების მარაგს „იმდიდრებს“. გეხსომებათ, ახლახან ბრაზილიელმა ციხის პირველობაზე 16-კილოგრამიანი გოჭი მოიგო.

შეგახსენებთ, რონალდინიო და მისი ძმა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსეონში სამართალდამცველებმა ქვეყანაში უკანონო გზით შეღწევის მცდელობისა და საბუთების გაყალბების ბრალდებით დააკავეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტორპედო საკუთარ ბაზას საკარანტინო ზონას უთმობს

კორონავირუსის გამო საქართველოში ეროვნული ჩემპიონატი შეწყვეტილია. ზოგიერთი გუნდი იზოლაციაში მოექცა და დახმარების ხელს სთავაზობს ქვეყანას.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქუთაისის ტორპედოს პირველი, სარეზერვო და ასაკობრივი გუნდები სავარჯიშო პროცესს გაურკვეველი ვადით წყვეტენ. ქუთაისური კლუბი მზადაა, საწვრთნელი ბაზა საკარანტინო ზონად მოაწყოს.

– ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვგრძნობთ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ვითვალისწინებთ რეკომენდაციებს. რისკების თავიდან არიდების მიზნით, როგორც მთავარი, ისე ასაკობრივი გუნდები გარკვეული დროით წყვეტენ ვარჯიშს. ამასთანავე, მზად ვართ, კლუბის საწვრთნელი ბაზა საკარანტინო ზონად მოვაწყოთ.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ანალოგიური შინაარსის განცხადება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გააკეთა. ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანო მზადაა მის ბალანსზე არსებული სასტუმრო საკარანტინო ზონის მოსაწყობად გამოყოს. ასევე, მზადაა კორონავირუსთან საბრძოლველად 100.000 ლარი გაიღოს.

სამგლოვიარო განცხადებები

„სულ გვეხსომები, ლევანი!...“ (ჩხორთოლია)

წელიწადი კი არა, საუკუნეები ვერ გაანელებს იმ ტკივილს, რაც შენი ჩვენ შორის არყოფნის ტრაგედიამ გამოიწვია.

უზენაესი უფალიც საუკეთესოს ირჩევსო თავისთვის, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია დედისა და ოჯახისათვის.

სამხრეთის თბილი ბუნების ფესვებზე აღმოცენებული ყვავილი პოლარულ სიცივეს ვერ უძლებს და იღუპება, ანუ არაორდინარული დროის ცხოვრების საშინელებას ვერ გაუძელი ოდაბადეს მოწყვეტილმა ეულმა:

„სიცოცხლე შენი ქარიშხალს გავდა,
მეხის გავარდნას გავდა სიკვდილი!...“

ერთადერთი, რასაც გპირდებით გულდათუთქული შენი ოჯახი, ნათესავ-მეგობარ-მეზობლები გოგლას ოქროს სიტყვებშია:

„..სულ გვეხსომები, ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი!...“

ნათელში იყოს შენი უკვდავი სული, ამინ!

დედის, ოჯახის, ნათესავ-მეგობარ-მეზობლების სახელით, რაჟდენ ქარდავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოლონეთის პრეზიდენტი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. მტრედის ბარტყი; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 12. მოხეტე ძველ რომში, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 15. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 16. საოლქო ცენტრი უკრაინაში.

თარაზულად: 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. გია დანელიას კინოკომედია; 17. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ჩუქურთმა ანუ...; 20. ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პედელი; 2. ოპტიკა; 3. კოსტა; 5. დოკი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. ჯონსონი; 14. იოკასტე; 15. ფილიპსი; 19. თორი.

თარაზულად: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. დეკრეტი; 9. ტარიელი; 10. იანკი; 12. კოსინუსი; 16. მარიჯანი; 17. ენისელი; 18. პალეოლითი; 20. ტორონტო; 21. გიტი; 22. ემბრიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაბი; 2. შაშვი; 3. სვინგი; 5. ურანი; 6. ფლემინგი; 8. დაბღიშვილი; 10. იდიოტია; 12. ფალცეტი; 14. ლეჩაქი; 15. მანილა; 16. ონიმა.

თარაზულად: 1. პანეში; 4. გურზუფი; 7. ქაშაყი; 9. გვრინი; 11. აბსურდი; 12. ფართინგი; 13. ნოველა; 17. ელეგია; 18. მილი; 19. სტანდარტი; 20. სიბარიტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0807

ევრო — 3.3974

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7292

100 რუსული რუბლი — 4.0213

ამინდის პროგნოზი 18 მარტისთვის

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

პაატა ბურჭულაძე უცხოეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს დაეხმარა

ოპერის მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ უცხოეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთები უყიდა:

– უცხოეთში მცხოვრებო ჩემო მეგობრებო, ვისაც რაიმე შესაძლებლობა გაგაჩნიათ, დავეხმაროთ ქართველ სტუდენტებს, ვისთვისაც პრობლემაა საქართველოში დაბრუნება.

გერმანიაში სტუდენტური პროგრამით იმყოფება 11 სტუდენტი, რომლებიც მაისში ბრუნდებოდნენ და უკანა ბილეთი ჰქონდათ. მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასტუმრო, სადაც გადიოდნენ პრაქტიკას, დაიკეტა. ისინი ვერც ანაზღაურებას მიიღებენ. მე და ფონდ „იავნანას“ მეგობრებმა შევუძინეთ მათ ბილეთები 23 მარტის საქართველოს ავიახაზების პირდაპირ რეისზე ბერლინიდან.

გთხოვთ, დავეხმაროთ სტუდენტებს და კიდევ ერთხელ, ვისაც გაქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდით ჩვენს საელჩოებს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მუშაობენ. აქვთ ინფორმაცია, მაგრამ არ აქვთ ფინანსური რესურსი, ამიტომ გავერთიანდეთ და როგორც შეგვიძლია, გვერდით დავუდგეთ ქართველ ახალგაზრდებს.

პ.ს. რამდენიმე წუთის წინ დამირეკეს, რომ კიდევ 5 სტუდენტს სჭირდება დახმარება 23 მარტის რეისზე ბილეთების შეძენაში, ვისაც შეგიძლიათ შემოგვიერთდით.

ნიკა ანთიძე ვარძიის კოტეჯებს მოქალაქეებს თვითიზოლაციისთვის დაუთმობს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე გამოთქვამს მზადყოფნას, ვარძიის კოტეჯები დაუთმოს იმ ადამიანებს, ვისაც თვითიზოლაცია ესაჭიროება:

– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ვარძიაში ფლობს კეთილმოწყობილ კოტეჯებს.

გამოვთქვამთ მზადყოფნას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დავუთმოთ 3 კოტეჯი მოქალაქეთა თვითიზოლაციისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 მარტისთვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ** კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, დამეხმარეთ, ყოველ ღამე საშინელ სიზმარს ვხედავ...

– რაში გამოიხატება თქვენი სიზმრის საშინელება?

– მესიზმრება, რომ დივანზე ვარ წამოწოლილი, ამ დროს შემოდის სამი ულამაზესი შიშველი გოგონა და ჩემთვის ტანსაცმლის გახდას ცდილობს, მე კი მათ ხელისკვრით ვიშორებ...

– და მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– ხელები დამიმტვრიეთ!!!

●●●

თვითმფრინავში აცხადებენ:

– პატივცემულო მგზავრებო! გელაპარაკებათ თქვენი თვითმფრინავის პილოტი. კორონავირუსის გამო სახლიდან მიწევს მუშაობა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დალევას თავი ხომ არ დავანებოთ?

– აი, ეგ კარგი სადღეგრძელოა!

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ხომ არ იცი, ჩემი კუ სად არის?

– მამასთან ერთად ეზოში კაკალს ამტვრევს.

●●●

ორი მუსიკოსი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გავიგე, ცოლი მოგიყვანია, მართალია?

– ჰო.

– მერე, როგორი ცოლი შეგხვდა?

– ყოველდღე კონცერტებს მართავს.

– და სიდედრი?

– სიდედრი გამახურებელია...

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, მამა კიბიდან ჩამოვარდა.

– მერე, რა თქვა?

– ცუდი სიტყვები გამოვტოვო?

– ჰო, შვილო.

– მაშინ ხმის ამოუღებლად ჩამოვარდა...

●●●

საკანში ახლად მოთავსებულ პატიმარს თანასაკნელები ეკითხებიან:

– რისთვის ჩაგსვეს?

– რომ გითხრათ, გაგეცინებათ. აღმოჩნდა, რომ თურმე ჩვენი სახელმწიფო ისეთსავე ბანკნოტებს უშვებს, როგორსაც მე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხოსეპ გვარდიოლა: „ფეხბურთელები ინდივიდუალურად ვარჯიშობენ“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ როდესაც გუნდი ერთად არ ვარჯიშობს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელები ფორმიდან უნდა ამოვარდნენ და მათ ინდივიდუალურად არ უნდა ივარჯიშონ:

– ფეხბურთელებს კარგად ესმით შექმნილი მდგომარეობა და ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფორმაში იყვნენ. მათთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. იმედია, მალე ეს ყველაფერი დასრულდება და ჩვენც განვაგრძობთ ისევ ჩვენი საქმის კეთებას.

პრემიერ ლიგა 4 აპრილამდე ოფიციალურად გაჩერებულია.

ბარსელონას უმტიტის გაყიდვა სურს

ზაფხულში ბარსელონამ, შესაძლოა, თავისი ცენტრალური მცველი სამუელ უმტიტი გაყიდოს და მის მაგივრად უფრო ახალგაზრდა ცენტრალური მცველი იყიდოს.

უმტიტი ბარსელონას ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას საფრანგეთში დაბრუნება სურს.

ასევე შესაძლებელია მისი ინგლისში გადასვლა, სადაც უმტიტის შეძენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

უმტიტის ბარსელონიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია ზამთარშიც ვრცელდებოდა, მაგრამ მაშინ ის ბარსელონაში დარჩა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჩემპიონლიგის გუნდები პრემიერლიგას უჩივლებენ

ინგლისის რანგით მე-2 დივიზიონის სატურნირო ცხრილის მოწინავე ექვსეული მიმდინარე სეზონის გაუქმების კატეგორიული წინააღმდეგია და იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაწინაურების შანსს ვერ მიიღებენ, პრემიერ ლიგის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებენ.

როგორც ბრიტანელები წერენ, ლიდსის, ვესტ ბრომვიჩის, ფულემის, ბრენტფორდის, ნოტინგემისა და პრესტონის წარმომადგენლებმა ფარული შეხვედრა გამართეს, რომელზეც სამომავლო გეგმები განიხილეს.

ჩემპიონშიპში მოასპარეზე გუნდების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ პრემიერ ლიგის რამდენიმე წარმომადგენელს მიმდინარე სეზონის გაუქმება სურს. ინგლისის რანგით მე-2 დივიზიონში მოთამაშე კლუბების ინტერესებში კი, სეზონის ჩამთავრება შედის. მათ პრემიერ ლიგაში დაწინაურება უნდათ და მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში რადიკალური ზომებიც მიიღონ.

როგორც მოგეხსენებათ ჩემპიონშიპის წარმომადგენლებისთვის უმაღლეს დივიზიონში დაწინაურება ფინანსური გადმოსახედიდან უმნიშვნელოვანესია. პრემიერ ლიგაში აღზევებას დაახლოებით 200 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობის შემოსავალი მოაქვს, რაც, ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ სოლიდური თანხაა.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ჩინეთში აპრილში საფეხბურთო ჩემპიონატს განაახლებენ

ჩინეთში კორონავირუსის შემთხვევებმა საგრძნობლად მოიკლო და, შესაძლოა, აპრილში ჩინეთის საფეხბურთო ჩემპიონატი ჩვეულებრივად განახლდეს და მაყურებლებიც დაუშვან ტრიბუნებზე.

თუ ყველაფერი კარგად წავიდა, სავარაუდოდ, 11 აპრილს ჩინეთის ჩემპიონატი განახლდება. ბოლო პერიოდში კორონავირუსისგან ჩინეთის მოსახლეობის 84% განიკურნა და ქვეყანამ ეს ვირუსი თითქმის დაამარცხა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 2. კომპიუტერული მიკროსქემების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 3. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 5. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 6. კუთხე საქართველოში; 8. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საჭმელი ზეთით მდიდარი მსხლის ფორმის მქონე ტროპიკული მცენარე; 14. თეატრის ერთ-ერთი სახეობა; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი.

თარაზულად: 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. განსაკუთრებული ნიჭი; 9. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 10. მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 12. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 16. მჭევრმეტყველების თეორია; 17. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 21. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 22. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა